ინფორმაციის თავისუფლების საკითხების განხილვა დიდ ბრიტანეთში

23-24 მაისს მანჩესტერში (დიდი ბრიტანეთი) ინფორმაციის კომისრების მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტის "ინფორმაციის თავისუფლება, სამართლებრივი რეფორმა და ფინანსური გამჭვირვალობა" კოორდინატორმა თამარ გურჩიანმა. აქვე გაიმართა "ღია საზოგადოება სამართლებრივი ინიციატივის" მიერ ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრა.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს "მანჩესტერის დეკლარაცია", რომელიც კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველას, რომ ინფორმაციის თავისუფლება ფუნდამენტურ უფლებად იქნეს აღიარებული. ეს უფლება გამოყენებულ უნდა იქნეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის იმპლემენტაციისთვის.

დანართში თქვენ შეგიძლიათ იხილოთ "მანჩესტერის დეკლარაციის" სრული ტექსტი

მანჩესტერის დეკლარაცია